ორბიტაზეა „კოსმოსი—2“

ატმოსფეროს და კოსმოსური სივრცის ზედა ფენების გამოკვლევის პროგრამის შესაბამისად 1962 წლის 6 აპრილს საბჭოთა კავშირში მოეწყო დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მორიგი გაშვება. ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-2“ ორბიტაზე გავიდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ადრე მიღებული გადაწყვეტილების შესაცვლელად დაადგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნეს 23 აპრილს ქალაქ მოსკოვში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и
организаций Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

8
აპრილი
კვირა,
1962 წ.
№ 70 (1921)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 8 კაპ.

წელს გვეწვევა 100 000 ტურისტი

ამას წინათ თბილისის პროფკავშირების სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი-სემინარი ტურისტულ-საექსკურსიო აქტივის მონაწილეობით.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს უფროსმა პ. როველაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასთან ერთად გაიზარდა საქართველოს ტურისტულ მარშრუტთა რიცხვი. საბჭოთა კავშირის 110 მარშრუტიდან ჩვენს რესპუბლიკაში გადის 31.

ჩვენი ტურბაზები მიმდინარე წელს მოემსახურებიან 100.000-ზე მეტ სტუმარს. 1960 წლის დასაწყისში ჩვენ მივიღეთ პირველი „მეგობრობის მატარებელი“, გასულ წელს — ათი, ხოლო მიმდინარე წელს მივიღებთ 20 „მეგობრობის მატარებელს“. შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს ჩაუვლის ათი ტურისტული გემი. მოგზაურები გაეცნობიან საქართველოს ზღვისპირა ქალაქების ღირსშესანიშნაობებს.

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს თბილისიდან გავა საქართველოს ტურისტთა მატარებელი მარშრუტით: თბილისი-კიევი-მინსკი-ვილნიუსი-ტალინი-რიგა-ლენინგრად-მოსკოვი-თბილისი. ჩვენი ტურისტები გაეცნობიან მოკავშირე რესპუბლიკების ღირსშესანიშნაობებს და ისტორიულ ძეგლებს.

საქართველოს ტურისტული საექსკურსიო სამმართველო გარკვეულ მუშაობას ეწევა ადგილობრივ მოსახლეობაში მასობრივი ტურიზმის გასავითარებლად, რისთვისაც იქმნება ბევრი ადგილობრივი მარშრუტი ერთდღიანი და ორდღიანი ლაშქრობების ჩასატარებლად.

სამმართველოს უკეთ მუშაობის მიზნით შექმნილია სპეციალური ორი საექსკურსიო ბაზა თბილისსა და სოხუმში, რომლებიც მთელ საექსკურსიო მუშაობას წარმართავენ აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ა. მაკალათიამ, გ. სოლოღაშვილმა, ა. მიქელაძემ, გ. ხაჩიროვმა, ვ. კაკასიძემ, ბ. ჩიქოვანმა, თ. შენგელიამ, ი. კიგიშვილმა და ა. კალანდარაშვილმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე და წარმატებებზე, რომელიც გააჩნია ჩვენი რესპუბლიკის ტურისტულ ბაზებს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საკავშირო პროფესიული კავშირების სამმართველოს ცენტრალური ტურისტული საექსკურსიო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ო. ოვანესოვმა.

დღეს ნომერში:

- ❋ ცისფერი გუნდი ემზადება
- ❋ თურქეთის ჩემპიონთან პირისპირ
- ☐ ჩემპიონი ინარჩუნებს ტიტულს
- ☐ სპეციალური პრიზების პრეტენდენტები
- ☐ დ. სეპეში: მ. მესხი და ს. მეტრეველი გუნდში უძლიერესნი არიან

„იუმანიტეს“ კროსი

მოსკოვიდან პარიზს გაფრინდა ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „იუმანიტეს“ 25-ე საიუბილეო საერთაშორისო კროსში. საბჭოთა ვაჟთა გუნდის შემადგენლობაში არიან ფ. ხუზინი, ლ. ივანოვი, ა. კონონოვი, ქ. ვორობიევი და ვ. ტრუფანოვი. ქალთა გუნდში გამოვლენ რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ლ. ლისენკო, თ. ბაზინცევა, ზ. სკობცოვა და ფ. კორაბლევა.

უძლიერესთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებს გარდა მონაწილეობას მიიღებენ პოლონელი ე. ხრომიკი, ჩეხოსლოვაკელი პ. კანტორეკი, უნგრელები ა. შიმონი და ი. მაჩარი, რუმინელი ქ. გრეჩესკუ და სხვები.

თურქეთის ჩემპიონთან პირისპირ

პირველი ქართული სპორტული დელეგაცია თურქეთში!

ეს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ჩვენთვის.

მაგრამ გაურკვევლობის და პასუხისმგებლობის გრძნობა ერთი წუთითაც არ გვცილდებოდა. გაურკვევლობის იმიტომ, რომ მომავალი მეტოქის შესახებ არაფერი ვიცოდით. პასუხისმგებლობის იმიტომ, რომ მისი მისამართი და ვინაობა იყო: სტამბოლი, „დარუშაფაკი“. ასე იყო თუ ისე, მობილიზაცია ვუყავით მთელს ჩვენს სპორტულ გამოცდილებას, ცოდნას, ცნობისმოყვარეობას და გავემგზავრეთ თურქეთში. კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩის ჩასატარებლად.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც თურქეთის მიწაწყალზე ფეხის დადგმით მივიღეთ, იყო ჩვეულებრივი, ისეთი, როგორიც უცხოეთში მგზავრობას განუხრელად თან ახლავს. ქალაქი დიდი, ლამაზი, სანახევროდ ევროპული, სანახევროდ აზიური, უამრავი ისტორიული ძეგლებით, უცნობი ადამიანებით და უცხო ჩვევებით.

აეროპორტიდან სასტუმროსაკენ მიმავალი გზა საკმაოდ გრძელი და მომქანცველი აღმოჩნდა, ამიტომ დღის წესრიგში უპირველეს ყოვლისა დადგა დასვენების საკითხი. მაგრამ შევდგით თუ არა ფეხი სასტუმროს ვესტიბიულში, იმავ წამს მოვყევით ცნობისმოყვარე კორესპონდენტთა მჭიდრო ალყაში. ვერ წარმოიდგენთ რა კატეგორიის ხალხია უცხოელი ჟურნალისტები. მათთვის არაფერს ნიშნავს ის, რომ თქვენ დაღლილი ხართ, რომ თქვენ როგორც ჰაერი, გჭირდებათ დასვენება და სხვა მისთანანი. ისინი სხაპასხუპით გაყრიან შეკითხვებს, იღებენ პასუხებს და ელვის სისწრაფით გადასცემენ კორესპონდენციას რედაქციებში. ასეთ ნაუცბათევ ცნობებში ბევრია სიყალბე, ცილისწამება, მოგონილი ფაქტები. ყველაფერ ამის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტეთ პრეს-კონფერენციის მოწყობა უფრო მშვიდ და ოფიციალურ ფორმებში. ჟურნალისტებს სხვა გზა არ ჰქონდათ — დაგვეთანხმნენ.

მეორე დღეს სტამბოლის გაზეთები აჭრელებული იყო ცნობებით ჩვენს გუნდზე. წერდნენ ყველაფერს და ყველაფერზე: როგორ ვვარჯიშობთ, როგორ ვისვენებთ, როგორია ჩვენი კვების რაციონი. კორესპონდენტთა ერთი ნაწილი წინასწარ უკეთებდა ანალიზს „დინამოს“ თამაშს. მათი აზრით, ჩვენ რატომღაც „ზონალური დაცვის ტაქტიკას ავირჩევდით, რომ თავიდან აგვეცილებინა დიდი ანგარიშით წაგება“ („სონ ფოსტა“). გაზეთი „ვათანი“ დიდი საიდუმლოების სახით აწვდიდა მკითხველებს ცნობას იმის შესახებ, რომ „დინამომ“ ვარჯიშის დროს დამალა თავისი თამაში, და „დარუშაფაკის“ ხელმძღვანელები ამან არ უნდა მოატყუოს“. იყო სხვა „სენსაციური აღმოჩენებიც“, მაგრამ ჩვენ მათთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. „დინამოს“ შემადგენლობა მომავალი მატჩისათვის მზადებით იყო გართული და იგი ფსიქოლოგიურად ამზადებდა თავს ძნელი და საპასუხისმგებლო ბრძოლისათვის.

დრო ჩვენ საკმარისზე მეტი გვქონდა, ამიტომ მისი შევსება გადავწყვიტეთ სტამბოლის დათვალიერებით. აი ჩვენს წინ გაიელვეს წარსულის ფურცლებმა: VI საუკუნის საქვეყნოდ ცნობილი ძეგლი — წმინდა სოფიის ტაძარი („აია სოფია“), რომელიც 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ მეჩეთად გადაკეთდა...

... მეჩეთი აჰმედიე — დიდოსტატ მეჰმედ აღას ფანტაზიის ხორცშესხმული ნაყოფი... მეჩეთი სულეიმანიე — არქიტექტორ სინანის მიერ აშენებული დიდებული ნაგებობა, რომლის გუმბათი წმინდა სოფიის ტაძრის გუმბათზე 6 მეტრით უფრო მაღალია. ტყუილუბრალოდ არ თვლიან მას ოსმალური არქიტექტურის კლასიკურ ნიმუშად.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

სად არიან ნამდვილი ჩემპიონები?

მას შემდეგ, რაც ევროპის პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთში არ მიიწვიეს კონტინენტის უძლიერესი (რუმინეთისა და უნგრეთის) გუნდები და ამასთან დაკავშირებით მონაწილეობაზე უარი განაცხადეს სოციალისტური ქვეყნების მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციებმა, შეჯიბრებამ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ დასავლეთ ბერლინის „შონებერგის“ დარბაზში, სადაც მიმდინარეობს პირველობა, უძლიერესთა სახელი ქალთა შორის მოიპოვეს გფრ-ს სპორტსმენებმა. ადრე ეს კოლექტივი არასოდეს არ ყოფილა ფავორიტი ევროპის გუნდებს შორის. პეკინში მსოფლიო პირველობაზე კი მან თავის ქვეჯგუფში მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა რუმინეთის, უნგრეთისა და გდრ-ს შემდეგ.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში პირველობა დაისაკუთრეს იუგოსლაველებმა, რომლებიც, მართალია სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ პირველობას არასოდეს მოუპოვებიათ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

გამარჯვებულებს გადაეცათ ჩემპიონის ოქროს მედლები, მაგრამ ყველამ იცის, რომ ისინი არ არიან ნამდვილი ჩემპიონები.

სპეციალური პრიზების პრეტენდენტები

კაუნასის „სპორტჰალეს“ დარბაზში გამართულ ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების პერიპეტიებს თითქმის თანაბარი სიძლიერით განიცდიან მოთამაშენი და მაყურებლები: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების გარდა გუნდები და სპორტსმენები იბრძვიან სპეციალური პრიზებისათვისაც, რომლებიც უხვად დააწესეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ორი პრიზი განკუთვნილია ყველაზე შედეგიანი ხელბურთელისათვის (ქალი და ვაჟი), ორი — საუკეთესო მეკარისათვის, მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდისა და „მოხუცისათვის“. სპეციალურ პრიზს მიიღებს ყველაზე კორექტული გუნდი და საუკეთესო მსაჯი. უკმაყოფილონი არც გულშემატკივრები დარჩებიან — დაჯილდოვდება საანკეტო კონკურსში გამარჯვებული მაყურებელი.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ მეკარეთა შორის სპეციალური პრიზის პრეტენდენტებიდან ყველაზე კარგი შანსი ჯერჯერობით თბილისის „ბურევესტნიკის“ მეკარე აბაიშვილს აქვს. კორექტულ გუნდთა შორის ლიდერობს აგრეთვე ჩვენი კოლექტივი.

ახლა რაც შეეხება თვით ტურნირს. მესამე ტურში თბილისელები ეთამაშებოდნენ მინსკელ თანაკლუბელებს. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეებმა სცადეს „მეურვეობის“ ქვეშ აეყვანათ ცერცვაძე, რამაც თბილისელებს საშუალება მისცა სხვა ადგილას მოეძებნათ „ხვრელი“ და მეთოდური თავდასხმებით პირველ ხუთ წუთში მშრალი ანგარიშით (9:0) წაეყვანათ თამაში. პირველი ნახევარი თბილისელთა დამაჯერებელი უპირატესობით დაინიშნა — 17:9. მეორე ნახევარში გუნდმა [illegible] თამაში და მატჩის საბოლოო ანგარიში (31:25) უკვე არც თუ ისე დიდი სხვაობით დამთავრდა ქართველ ხელბურთელთა სასარგებლოდ.

განვლილ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 8 გოლი. ერთით ნაკლები ჰქონდა ანთაძეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორი ტურის შემდეგ ყველაზე შედეგიან მოთამაშედ ცერცვაძე ითვლება — 16 ბურთი.

სამი ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს ტირასპოლის სკას, 5 — მოსკოვის „ტრუდს“, ოთხ-ოთხი — კაუნასის „ატლეტასსა“ და თბილისის „ბურევესტნიკს“.

• • •

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა მვტუ (მოსკოვი)— 20:14.

ჯ. ენუქიძე,

კაუნასი. ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

თბილისის დინამოელებმა სამშობლოში დაბრუნებისას ერთი დღე დაჰყვეს ათენში.

სურათზე: „დინამოს“ გუნდი ათენში. უკან მოჩანს აკროპოლის ნანგრევები.

ფოტო ი. ხაზარაძისა.

თურქეთის ჩემპიონთან პირისპირ

(დასასრული)

დახურული ბაზარი „კაპალი ჩარში“ სტამბოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაგებობაა. ყველა ტურისტი და უცხოელი დიდი ინტერესით ათვალიერებს მას, რომელიც კონსტანტინეპოლის დაპყრობის რამდენიმე წლის შემდეგ დაარსდა. ისტორიის მტვერმა, მრავალმა ნგრევამ და ხანძარმა იგი დღევანდლამდე აღდგენილი სახით მაინც შემოინახა.

ნელ-ნელა ვუახლოვდებით თანამედროვეობას. აი სასახლე „დოლმა ბაჩე“, სულთან აბდულ მეჯიდის მიერ 1853 წელს აშენებული, ოსმალეთის უკანასკნელი სულთანების რეზიდენცია... ციხესიმაგრეები, რომლებიც სტამბოლს რკალად არტყია. იგი საუკუნეების წინათ აშენდა, მაგრამ თურქეთის მთავრობის ყოფილმა მეთაურმა მენდერესმა იგი აღადგინა კონსტანტინოპოლის დაპყრობის 500 წლისთავის აღსანიშნავად.

შთაბეჭდილებები დიდია, სანახაობა მრავალი, ჩვენი ცნობისმოყვარეობა მთელი დატვირთვით მუშაობს, მაგრამ ბიჭების გადაღლა, ზედმეტად გადატვირთვა არ გვინდა. ვბრუნდებით სასტუმროში.

მოვიდა შეხვედრის დღეც — 17 მარტი, საღამოს 8 საათი. სპორტისა და გამოფენების სასახლე გაჭედილი იყო კალათბურთის მოყვარულებით. თურმე ამ შენობაში ასეთი 100-პროცენტიანი დასწრება არც ერთ სპორტულ ღონისძიებას არ ჰქონია. ბილეთების ფასი შეხვედრისათვის შეგნებულად იქნა გაზრდილი (პირველი იარუსი — 25 ლირა, მეორე იარუსი — 15 ლირა), მაგრამ მაყურებლები არც ამან შეაშინა.

მატჩის წინ გავიგეთ, რომ სპორტსმენებს სიტყვით მიმართავს სტამბოლის ვალი (გუბერნატორი) ნიაზი აქი. აქ ამ ამბავს უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს, რადგან, როგორც აგვიხსნეს, არასდროს ოფიციალური პიროვნება სპორტულ შეჯიბრებაზე სიტყვით არ გამოსულა. ჩვენ ეს პატივი ღირსეულად მივიღეთ და მეც ხელდახელოდ მოვამზადე ამ საგანგებო შემთხვევასთან დაკავშირებით სიტყვა.

საზეიმო ცერემონიალმა კარგა ხანს გასტანა. გუბერნატორმა თავისი გრძელი „საპროგრამო“ სიტყვა თურქულად წარმოთქვა, მე ჩემი საპასუხო სიტყვა—ქართულად. შემდეგ მოხდა ეროვნული დროშების საზეიმო აღმართვა, შესრულდა თურქეთისა და საქართველოს ჰიმნები და ბოლოსდაბოლოს შეხვედრაც დაიწყო.

სპორტული ბრძოლის აღწერას მე არ შევუდგები, მისი მსვლელობა და შედეგი უკვე ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რამდენიმე სიტყვით მსურს გაგაცნოთ მხოლოდ თურქეთის გუნდი, რომელიც ამ მატჩისათვის „დარუშაფაკა“ კი არ წარმოადგენდა, არამედ ეროვნულ ნაკრებს.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებას, როგორც ჩანს, თურქეთის კალათბურთის ფედერაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ შეხვედრაში წარმატებაზეც კი ფიქრობდა. სწორედ ამ მიზნით მან თურქეთის 1961 წლის ჩემპიონის „დარუშაფაკის“ შემადგენლობა გააძლიერა ორი უდავოდ მაღალი კლასის მოთამაშით (ნედრეთ უიგურით და მაშიმულქუ იაქინით), რომლებიც გამოდიან წლევანდელი ჩემპიონის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის გუნდის შემადგენლობაში.

თურქები თამაშობდნენ საკმაოდ სწრაფად, აზარტულად და თბილისელთა ტემპიანი თამაში მათ სიამოვნებით მიიღეს. ესროდნენ კალათში ისინი ზუსტად, განსაკუთრებით უიგური (№ 4) და იაქინი (№ 8). ამასთან პირველი მათგანი თავისი სიმაღლის წყალობით (2 მეტრი) საკმაოდ კარგად იბრძოდა ფარქვეშ.

„დინამომ“ პირველსავე წუთზე მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა ტაიმის დასასრულამდე და შემდეგ კიდევ უფრო გაზარდა იგი. თბილისელთა როგორც ძირითადმა, ისე სათადარიგო შემადგენლობამ ითამაშა მონდომებულად, ენერგიულად, გამოამჟღავნა საბჭოთა კალათბურთის ყველა კარგი თვისება. მაყურებლებმა ღირსეულად შეაფასეს სტუმრების მაღალი კლასი, ოსტატობა და როდესაც დინამოელი ვ. უგრეხელიძე სტოვებდა მოედანს, იგი მხურვალე ტაშით გააცილეს. მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა ა. ლექავას, გ. მინაშვილის, ლ. მოსეშვილისა და საერთოდ მთელი გუნდის თამაშს. მატჩის მსვლელობის მძაფრ ხასიათზე მეტყველებს მისი საბოლოო შედეგიც — 80:67 ჩვენს სასარგებლოდ.

მაგრამ დამარცხება თურქებმა მტკივნეულად განიცადეს. გაზეთ „მიურ ვათანის“ მიმომხილველი მატჩის შემდეგ წერდა, რომ „მწვანე-შავებს (თურქეთის გუნდის სპორტული ფორმა) თბილისში საპასუხო მატჩის დროს წარმატებაზე ფიქრიც კი არ შეუძლიათ და რომ მათ ფაქტიურად დასტოვეს ჩემპიონთა თასის გათამაშება“.

ძნელი იყო თურქებისათვის ამ ჭეშმარიტების აღიარება, მაგრამ სხვა გამოსავალი მათთვის არ ჩანდა. თუმცა კალათბურთის ფედერაციამ გამოსავლის მსგავსი რაღაც იპოვნა. მან დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ დაგვითანხმა ერთი კალენდრით გაუთვალისწინებელი ამხანაგური შეხვედრის ჩატარებაზე. „დინამოს“ მეორე დღეს უნდა ეთამაშა თურქეთის წლევანდელ ჩემპიონთან — სამხედრო-საზღვაო სკოლის გუნდთან. თითქოს გაჩნდა რევანშის აღების, მაყურებელთა თვალში რეაბილიტაციის ერთი საკმაოდ რეალური შესაძლებლობა. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ თურქებმა აქაც ფიასკო განიცადეს. „დინამომ“ საკმაოდ ადვილად დაამარცხა თურქების ფავორიტი ანგარიშით 78:50 და ამით საბოლოოდ გაუნელა მათ რევანშის თავაშვებული ჟინი.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ პირველ შეხვედრას, რომელიც სხვათაშორის ბრწყინვალედ ჩაატარეს ბულგარელმა და იუგოსლაველმა მსაჯებმა — სტოიჩევმა და ბელოშევიჩმა. ჩვენ გაგვაოცა, გაგვანცვიფრა მაყურებლების რეაქციამ და იმ თავდავიწყებამ, რითაც ისინი განიცდიან თავიანთი გუნდის წარმატებას ან წარუმატებლობას. მაყურებლები თამაშზე მოვიდნენ საყვირებით, დაფდაფებით და რაღაც სპეციალური სატკაცუნებლებით. ეს თავისებური ანსამბლი მთელი ორმოცი წუთის მანძილზე გამოსცემდა რაღაც არაადამიანურ ხმებს, რომელსაც ემატებოდა „შეუიარაღებელ მუსიკოსთა“ ბღავილის ხმები. კაკაფონია წყნარდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თურქეთის გუნდი მკარგავდა ბურთს და შეტევას ჩვენი კალათბურთელები იწყებდნენ.

პირველი წარმატების შემდეგ „დინამოსაც“ გაუჩნდნენ მოსურნეები, რამაც ჩვენ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა. ვ. უგრეხელიძის რამდენიმე გასვლას საკმაოდ კომპაქტური ტაში მოჰყვა. იგივე განმეორდა ლექავას, მინაშვილის, მოსეშვილის და სხვათა ოსტატური სროლების შემდეგ. ჩანდა, რომ მაყურებელთა ნაწილი სიმპათიებით იყო გამსჭვალული ჩვენს მიმართ. მაგრამ მატჩის მსვლელობის დროს ამისათვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია. ყოველი ჩვენთაგანი გატაცებული იყო ბრძოლის მსვლელობით და არავის ეცალა მაყურებელთა კლასიფიკაციისათვის. მხოლოდ შეხვედრის დამთავრების შემდეგ გახდა ჩვენთვის ყველაფერი ნათელი.

აი დამთავრდა თამაში და ვიღაც გამოგველაპარაკა ქართულად. შემდეგ მოვიდა მეორე, მეათე, მეოცე. გვესმის ქართული სიტყვები, ქართული შეძახილები, მაგრამ იგი ამავე დროს უცნაური ქართულია.

— ვინა ხართ? რა გინდათ აქ? — ეკითხება ერთ-ერთი ჩვენთაგანი ვიღაც მაღალი ტანის უცნობს.

— ჩვენ აქაური ქართველები ვართ, — გვპასუხობს იგი. ადრეც გვინდოდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ გვეშინოდა, რომ წააგებდით თამაშს, თავსაც შეირცხვენდით და ჩვენც შეგვარცხვენდით. ჩვენთვის ყველაფერი ქართული წმინდაა, ამიტომ არ გვინდოდა მარცხისა და სირცხვილის თანაზიარი ვყოფილიყავით, ახლა კი სულ სხვა საქმეა.

ისინი ყველანი აღტაცებულნი იყვნენ და სხაპასხუპით გვაყრიდნენ კითხვებს საქართველოზე, თბილისზე, იმ სიყვარულზე, რომელიც მათ გამოჰყვათ წინაპრებისაგან, და რომელიც საკუთარი თვალით არასდროს არ უნახავთ. გასული საუკუნის ქართულით გვეკითხებოდნენ ისინი ჩვენს ყოველდღიურ ამბებზე, წარმატებებზე, მომავალზე.

— მე ჩემი ნამდვილი გვარი არც კი ვიცი, განგვიცხადა ერთმა (მათ, როგორც ჩანს, უმრავლესობას გადათურქულებული აქვთ გვარები). ეს მამაჩემის შეცდომაა, მაგრამ მე ვცდილობ ამ შეცდომის გამოსწორებას. ჩემს პატარა ქალვაჟს თამარს და ივერიას ვასწავლი ქართულს, ჩვენს ზნესა და ჩვეულებას. სამწუხაროდ, მე თვითონ კარგად არ ვიცი ქართული, ამას მაშინ მივხვდი, როდესაც თქვენს ლაპარაკს ჩავუკვირდი, ჩავუფიქრდი. ჩვენი ქართული, როგორც ჩანს, ძველია, თქვენი—ახალი,—სინანულით განაცხადა მან. — მაგრამ მაინც ხომ ქართულია?!

მოკრძალებით მოგვიახლოვდა ვიღაც ხანშიშესული მამაკაცი. იგი, რა თქმა უნდა, კალათბურთის სიყვარულით არ იყო მოსული ამ დარბაზში. მან ეს მოსვლისთანავე გვითხრა.

— მინდოდა ნამდვილი ქართველების ნახვა. მინდოდა, რომ ჩემს ცოლ-შვილს საკუთარი თვალით ენახა, როგორები არიან ისინი. თქვენი დიდი მადლობელი ვარ! თვალებზე ცრემლმორეული დაგვემშვიდობა იგი.

ორგვარი გრძნობით ვბრუნდებოდით სასტუმროში. გამარჯვების სიხარული და გაგონილით გამოწვეული სინანულის გრძნობა აირია ერთმანეთში. გვესმოდა მათი, გვწამდა მათი და გული გვტკიოდა, რომ მხოლოდ წამიერი სიამოვნება მივაყენეთ მათ... ათასებს, ათიათასებს, ასიათასებს.

ს. ტაბატაძე,

თბილისის „დინამოს“ სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი.

მეოთხე საკონტროლო მატჩი

გუშინ, თბილისში, სკა-ს სტადიონზე ადგილობრივმა „დინამოს“ ფეხბურთელებმა ჩაატარეს მეოთხე ამხანაგური საკონტროლო მატჩი. ამჯერად მათი მოწინააღმდეგე იყო „ბ“ კლასის კოლექტივი — მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდი.

თბილისელებმა თამაშის პირველი ნახევარი ძალზე სუსტად ჩაატარეს. კოლექტივში არ იგრძნობოდა ერთიანობა, ეს უფრო მეტად თავდასხმაზე ითქმის. სამაგიეროდ, სტუმრები მთელი მონდომებით ცდილობდნენ ანგარიშის გახსნას და მიაღწიეს კიდევაც. მათ მიერ წამოწყებული შეტევები ორჯერ დამთავრდა თბილისელთა კარის აღებით.

მეორე ნახევარში კვასხვაძის, ხუნდაძის, ხელაძისა და იაშვილის ნაცვლად მოედანზე გამოვიდნენ ლექავა, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი და ფიფია. მასპინძელთა თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა. ჯერ მელაშვილმა ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ფიფიამ ანგარიში გაათანაბრა. — 2:2. შეხვედრის დასასრულს დათუნაშვილმა კიდევ ერთხელ შეარხია სტუმრების კარის ბადე და წინ გაიყვანა თავისი კოლექტივი.

გაიმარჯვეს დინამოელებმა—3:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცისფერი გუნდი" ემზადება

PERU
ARICA
BOLIVIE
ARGENTINA
VIÑA DEL MAR
SANTIAGO
RANCAGUA
II ჯგუფი
4. ივნისი
CHILE 1962

ომისშემდგომმა მსოფლიო ჩემპიონატებმა იტალიელთა ოდესღაც განთქმულ „სკუადრა აძურას" დაფნის გვირგვინის ნაცვლად სრული მარცხი მოუტანეს. ჯერ იყო და V ჩემპიონატში იტალიელები შვეიცარიელებთან დამარცხდნენ და მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდნენ. ესეც არაფერი. VI ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ყველაზე უფრო ავტორიტეტული მიმომხილველების პროგნოზების მიუხედავად, იტალიელებს მოუგო ჩრ. ირლანდიის გუნდმაც. ამგვარად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი შვეციის დასკვნით ნაწილშიც კი ვერ მოხვდა, რამაც იტალიელი გულშემატკივრების დიდი უკმაყოფილება და „სკუადრა აძურას" მეცენატების ნამდვილი რისხვა გამოიწვია. მას შემდეგ გადაწყდა ჟიულ რიმეს თასის მორიგი გათამაშებისათვის საგულდაგულოდ მომზადება და უნდა ითქვას, იტალიელებს ბედმაც გაუღიმათ. მათი ერთადერთი მეტოქე აღმოჩნდა ისრაელის ნაკრები, რომლის ორი სასტიკი დამარცხების შემდეგ იტალიელებმა ჩილეში გამგზავრების უფლება მოიპოვეს.

ახლა იტალიის ნაკრებს თავისი დირექტორი — დოქტორი მინო სპადაჩინი ჰყავს. მას დიდი უფლებები აქვს. ვერც ერთი კლუბი ვერ გაბედავს დააყოვნოს ნაკრებში გამოძახებული მოთამაშე. ნაკრების დირექტორი აწყობს საწვრთნელ შეკრებებს, აწესრიგებს გუნდისათვის სუბსიდიის გაცემის საკითხს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის ფედერაციებთან და თუ გუნდის მწვრთნელები რაიმე საკითხში ვერ მორიგდებიან, სპადაჩინის გადამწყვეტი ხმა აქვს. აი რა განუცხადა დირექტორმა კორესპონდენტებს:

„ჩვენს ჯგუფში მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი. ყველაზე უფრო სახიფათო მეტოქედ ჩილელები მიმაჩნია. რაც შეეხება გერმანელებსა და შვეიცარელებს, ვფიქრობ, შეგვწევს ძალა დავამარცხოთ ისინი", სპადაჩინიმ ჩამოაყალიბა მწვრთნელთა „ტრიუმვირატი", რომელშიც შედიოდნენ ფერარი, მეაცა და ერერა. მაგრამ ერერას ამასწინანდელი გადადგომის შემდეგ „ტრიუმვირატი" დაიშალა და დაიწყო ფერარის ერთმმართველობა.

სპორტული მიმომხილველები ფიქრობენ, რომ იტალიის ნაკრების წარმატება ჩილეში ძირითადად მცველებზე იქნება დამოკიდებული. თუ თავდასხმაში მრავალი პირველხარისხოვანი ოსტატია, დაცვის საკითხი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. ადრე „ტრიუმვირატი" მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია დაცვითი ხაზების ჩამოყალიბება ერთი რომელიმე წამყვანი კლუბის ბაზაზე და საამისოდ შეარჩიეს „მილანის" დაცვა — დავიდი, მალდინი, სალვადორე და ნახევრმცველი ტრაპატონი. რამდენადაც ნაკრები თამაშობს ორი ცენტრალური მცველის სისტემით, მათ დაემატა გვარნიერიც („ინტერნაციონალე"), რომელიც მალდინისთან ერთად დაცვის ბურჯი იქნება. როგორც მალდინი, ისე გვარნიერი საერთაშორისო კლასის მოთამაშეა და მათი კანდიდატურა ურყევია. რაც შეეხება დანარჩენ მცველებსა და ნახევარმცველებს, მათ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა სხვა პრეტენდენტებთან შედარებით.



როგორც ყოველთვის, იტალიელთა თავდასხმაში იმდენი საუცხოო ფეხბურთელია, რომ ძნელდება არჩევანის გაკეთება. ნაკრებიდან ავტომატურად გაირიცხა ლოიაკონო, რომელიც დააპატიმრეს ამორალური საქციელის გამო. სულ მცირე ხნის წინ ჩილეში გამგზავრების რეალურ პრეტენდენტად ითვლებოდა ანჯელილო, მაგრამ ამჟამად იგი ძალზე ცუდად თამაშობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ანჯელილოს აღარ ათამაშებენ არა თუ ნაკრებში, არამედ თავისი საკლუბო გუნდის — „რომას" ძირითად შემადგენლობაშიც კი. თავდასხმაში ორი ძირითადი მოთამაშეა—ალტაფინი (№ 9) და სივორი (№ 10). ნაკრების უახლოეს შეკრებაზე სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა ფეხბურთელმა. ესაა „ფიორენტინას" ცენტრფორვარდი აურელიო მილანი. მოსალოდნელი იყო, რომ განთქმული სტრატეგისა და მანევრის გროსმაისტერის ნ. ჰიდეგკუტის მოწაფე თავის სახელოვან მასწავლებელს დაემსგავსებოდა, მაგრამ ეს მთლად ასე არ მოხდა. ა. მილანი კარგი ტექნიკითა და „პარტნიორობის გრძნობით" ხასიათდება, მაგრამ ყველაზე უფრო მას კარის პირდაპირი იერიში უყვარს.

ჯ. ფერარის მიაჩნია, რომ იტალიელები ჩილეში მესამე ადგილზე მაინც უნდა გამოვიდნენ. გამოცდილ მწვრთნელს თავისებური შეხედულება აქვს იტალიელ თავდამსხმელებზე. აქ არიან კარგი გარემარბები (მორა, სტახინი, პისკუტი, კორსო, პეტრისი, ორლანდო, მანიჩელ..), მაგრამ ცენტრალურ სამეულში საჭიროა ნამდვილი „დირიჟორის" მონახვა, რომელიც შეძლებს თამაშის ხელსაყრელი მიმართულებით წარმართვას. ერთხანს ე. ერერა აპირებდა ამ პოსტზე წარსულში ცნობილი ბონიპერტის აღდგენას, ახლა კი ნაკრების ხელმძღვანელობამ ყურადღება შეაჩერა არგენტინის ნაკრების ყოფილ მოთამაშე მასხიოზე. ეტყობა იმპორტირებული „ტრიო" მასხიო-ალტაფინი-სივორი იტალიელთა მთავარი იმედი იქნება ჩილეში.

უნდა ითქვას, რომ იტალიელთა ნაკრების ხელმძღვანელობა საგულდაგულოდ ემზადება ჩილის ტურნირისათვის. მან თავდაპირველად მიიწვია ჟენევის „სერვეტი", რომლის თამაში მეტად წააგავს შვეიცარიის ნაკრებისას და ნამდვილი „ნოკაუტი" გაუკეთეს მას — 6:0, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ შვეიცარელებმა არ ჩამოიყვანეს ნაკრების მოთამაშეები. საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად მოწვეულ იქნენ გფრ-ს კლუბები, მაგრამ აქაური მწვრთნელი ზ. ჰერბერგერი არ მოტყუვდა. მაშინ იტალიელებმა დასავლეთ გერმანიაში აფრინეს მზვერავი ბონიპერტი, რომელიც ნაკრების ყველა თამაშს ესწრება. საყურადღებოა, რომ იტალიელებმა ასეთივე მზვერავები ჩილეშიც მიავლინეს.

აშკარაა, რომ „ცისფერი გუნდი" იწყებს დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას. იტალიელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ უმძიმესი ბრძოლის გადატანა მათ გუნდს სწორედ ქვეჯგუფში მოუხდება, შემდეგ მდგომარეობა უნდა შემსუბუქდეს. საქმე იმაშია, რომ ჩემპიონატის აუტსაიდერებად მიჩნეული შვეიცარელები თავიანთი თამაშის სტილით ყველაზე უსიამოვნო მეტოქეები არიან იტალიელთათვის, ეს კი დამატებითი „კოზირია" იტალიელების მოქიშპე ჩილელებისა და გერმანელებისათვის.

ჩილეში გამგზავრებამდე იტალიელები რამდენიმე საერთაშორისო მატჩს ჩაატარებენ, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია შეხვედრა ავსტრიის ნაკრებთან. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მათი უკანასკნელი შეხვედრა ნეაპოლში ავსტრიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

ჩილეში იტალიის ნაკრებს გაჰყვება ყველა თვალსაჩინო სპეციალისტი. ერთი სიტყვით, მიღებულია ყველა ღონისძიება, რათა გუნდმა ჩილეში კარგად ითამაშოს. თვით იტალიელები ოპტიმისტურად არიან განწყობილი და აცხადებენ, რომ წავიდა ის დრო, როცა „ცისფერ გუნდს" ჩრ. ირლანდიელები და შვეიცარელები ამარცხებდნენ. ვნახოთ!

• • •

სურათზე: იტალიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელები: (მარცხნიდან) — ა. ანჯელილო, ხ. ალტაფინი და ო. სივორი.

დ. სეპეში: მ. მესხი და ს. მეტრეველი გუნდში უძლიერესნი არიან

ორ კვირაზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გამოდის უნგრეთის სხვადასხვა ქალაქში. ჩილის ტურნირისათვის მზადების პერიოდში გუნდმა ჩაატარა მთელი რიგი ამხანაგური შეხვედრები. საბჭოთა ფეხბურთელების ტურნე უნგრეთში დამთავრდა. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ჩვენი ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა განაცხადა:

„დღეს, მსოფლიოს ყველა საუკეთესო გუნდი გაცხოველებით ემზადება მსოფლიო პირველობისათვის. უკვე დიდიხანია, რაც მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. მოსკოვში ჩატარებული საწვრთნელი ვარჯიშების შემდეგ, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მოთამაშეთა ფიზიკური მზადყოფნის და გუნდის ტაქტიკურ შესაძლებლობათა შემოწმება ამხანაგურ შეხვედრებში.

უნგრეთში ჩატარებულ მატჩებში ჩვენმა ფეხბურთელებმა თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი ვერ გამოავლინეს. ჩვენი შემდგომი მუშაობა წარიმართება სწორედ ამ გზით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩილის ტურნირის დაწყებისათვის ყველა მოთამაშე თავის საუკეთესო სპორტულ ფორმაში აღმოჩნდეს.

უნგრეთიდან საბჭოთა კავშირის ნაკრები გაემგზავრება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, 10 და 11 აპრილს იგი ლუქსემბურგში შეხვდება ადგილობრივ ნაკრებს. 17 და 18 აპრილს — შვეციის ნაკრებს, ხოლო 27 აპრილს გუნდი ჩაატარებს ოფიციალურ მატჩს მოსკოვში ურუგვაის ნაკრებთან.

ყველა ამ შეხვედრაში (ურუგვაის გარდა) საბჭოთა გუნდი გამოვა ორი შემადგენლობით. პირველ ნაკრებში არიან ის მოთამაშეები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს უკანასკნელ შერჩევით მატჩზე სტამბოლში, მაგრამ ცნებები — პირველი და მეორე ნაკრები — ჯერჯერობით პირობითია.

უნგრეთში ყოფნისას ჩვენ ვნახეთ ევროპის ზოგიერთი ნაკრები გუნდის თამაში. უნდა გითხრათ, რომ ისინი ყველანი ჩილეში წარმატების ღირსეული კანდიდატები არიან. იმის თქმა, რომ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებას მიაღწევს სამხრეთ ამერიკის რომელიმე გუნდი, არ არის სწორი. უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის ნაკრები კოლექტივები ისევე წარმატებით იბრძოლებენ გამარჯვებისათვის, როგორც მათი სამხრეთ-ამერიკელი კოლეგები.

საბჭოთა კავშირის ნაკრების თამაშზე თავისი აზრი გამოთქვა ცნობილმა უნგრელმა სპორტულმა კომენტატორმა დ. სეპეშმა.

„ჩემის აზრით საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყველაზე ძლიერი რგოლია გარემარბები. მ. მესხი და ს. მეტრეველი ამ გუნდში საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი დღეს უკეთ გამოიყურებიან ვიდრე სახელგანთქმული გარინჩა.

თავიანთ საუკეთესო ფორმაში არ უნდა იყვნენ ნახევარმცველები — ი. ნეტო და ვ. ვორონინი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვას, იგი შესანიშნავად თამაშობს. ვინ მოიპოვებს ჩილეში წარმატებას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩილეში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია".

ჭადრაკის მოყვარულ ქალიშვილებისათვის

2. ჩემპიონი ინარჩუნებს ტიტულს

1930 წლის ივლისში ჰამბურგში (გერმანია) შეიკრიბნენ ქალთა II მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ვ. მენჩიკი (ჩეხოსლოვაკია), ა. სტივენსონი (ინგლისი), ვ. გენჩელი (გერმანია), პ. ვოლფ-კალმერი (ავსტრია) და კ. ბესკოვა (შვეცია). საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას გადაწყვეტილი ჰქონდა პირველობაში 8 მოჭადრაკის დაშვება, მაგრამ იმ პირობით, რომ თვითეულ მონაწილეს საბუთებით უნდა დაემტკიცებინა წარმოდგენილი ქვეყნის ქვეშევრდომობა. ასეთნი მხოლოდ ხუთნი აღმოჩნდნენ, ამიტომ პირველობა გაიმართა ორწრიანი მატჩ-ტურნირით.

ვერა მენჩიკი,

პირველობის მონაწილენი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. შედარებით ახალბედა მხოლოდ გერმანელი გენჩელი იყო.

ამ დროისათვის მსოფლიო ჩემპიონი მენჩიკი (უკვე ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე) დიდი პოპულარობით სარგებლობდა საჭადრაკო სამყაროში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ოსტატ ვაჟთა ტურნირებშიც. აღსანიშნავია ორი შეჯიბრება, რომლებმაც მსოფლიოს მოჰფინეს მენჩიკის სახელი.

რამსჰეტის 1929 წლის საერთაშორისო ტურნირზე იგი გამოვიდა II-III ადგილებზე გროსმაისტერ ა. რუბინშტეინთან ერთად (პირველი იყო ხ. კაპაბლანკა) და ჩამოიტოვა თავისი მასწავლებელი გროსმაისტერი გ. მაროცი. კი. ოსტატი ქალის ეს წარმატება კაპაბლანკამ ასე შეაფასა: „მენჩიკი ერთადერთი ქალია, რომელიც თამაშობს როგორც მამაკაცი!“. ჩეხოსლოვაკიის კურორტ კარლსბადის (კარლოვი ვარის) ამავე წლის საერთაშორისო ტურნირზე მენჩიკის დაშვებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვინაიდან იგი გამოდიოდა კაპაბლანკას, ეიეეს, შპილმანის, ნიმცოვიჩის, ტარტაკოვერის, მაროცის და სხვათა მეტოქედ. ტურნირის მონაწილენი ღიმილით აფასებდნენ მენჩიკის შანსებს. ოსტატმა ბეკერმა ხუმრობით წინადადებაც კი შეიტანა დაეარსებინათ ვ. მენჩიკის სახელობის კლუბი, რომელშიც მიიღებოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ოსტატი ქალი მოუგებდა. მაგრამ ამ კლუბის პრეზიდენტი გახდა... თვით ბეკერი, რომელსაც ერთადერთს მოუგო მენჩიკმა. მართალია, მსოფლიო ჩემპიონმა ტურნირში ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ დიდი გამოცდილება მიიღო. მის შესახებ ა. ალიოხინი წერდა: „უდავოა, რომ მენჩიკი ქალთა შორის გამონაკლისს წარმოადგენს. მას გააჩნია დიდი საჭადრაკო ნიჭი. შემდგომში მუშაობით და ვარჯიშით იგი საშუალო ოსტატიდან გაიზრდება პირველხარისხოვან საერთაშორისო ოსტატად“.

ცხადია, მსოფლიო II პირველობაზე 24 წლის მენჩიკს პირველი ადგილის რეალურ პრეტენდენტად თვლიდნენ. მაგრამ მას უფრო გაუჭირდა მისი აღება, ვიდრე 1927 წელს. შესანიშნავად თამაშობდა ავსტრიელი ვოლფ-კალმერი. პირველ წრეში მან 3,5 ქულა მოაგროვა 4-დან. მენჩიკმა მასთან ყაიმის შემდეგ წააგო გენჩელთან (ეს მისი ერთადერთი წაგებაა მსოფლიო პირველობაზე საერთოდ ნათამაშევ 83 პარტიაში) და პირველი წრე 2,5 ქულით დაამთავრა. ჩემპიონობის ბედი მეორე წრეს უნდა გადაეწყვიტა, სახელდობრ, ლიდერების შეხვედრას. ვოლფ-კალმერმა პარტიის დასაწყისშივე დაუშვა შეცდომა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მენჩიკმა ოსტატურად გამოიყენა იგი და გაიმარჯვა. განაწყენებულმა ავსტრიელმა მეორე დღესაც წააგო შეხვედრა (გენჩელთან) და ჩამორჩა მენჩიკს, რომელმაც მეორე წრის ოთხივე პარტია გამარჯვებით დააგვირგვინა. მატჩ-ტურნირი დამთავრდა ასე: მენჩიკი — 6,5 ქულა, ვოლფ-კალმერი — 5,5 ქულა, გენჩელი — 4,5 ქულა, ბესკოვა — 2 ქულა, სტივენსონი — 1,5 ქულა.

ვერა მენჩიკს მეორედ მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მას გადაეცა ჩემპიონის ოქროს მეორე მედალი, ხოლო მისი გვარი ამოიკვეთა მსოფლიო ჩემპიონის გარდამავალ თასზე.

თ. გიორგაძე

ფეხბურთის ქრონიკა

შედგა გახმეორებითი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში. ინგლისის ჩემპიონმა „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ საკუთარ მინდორზე მიიღო თასის ახლანდელი მფლობელი „ბენფიკა“ (პორტუგალია).

ამ გუნდების პირველი შეხვედრა ლისაბონში მოიგო „ბენფიკამ“ ანგარიშით 3:1, ამიტომ ინგლისელები საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იდგნენ: ფინალში გასვლისათვის მათ მატჩი უნდა მოეგოთ სულ ცოტა 3 ბურთის უპირატესობით. „ტოტენჰემმა“ აღნიშნულ შეხვედრაში გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდებით ფინალში გავიდა „ბენფიკა“, რომელიც შეხვდება მადრიდის „რეალს“.

ამ დღეებში გაიმართა ბელგიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. თამაში მოიგეს ბელგიელებმა — 3:1.

ინგლისის თასის გათამაშებაში შედგა ნახევარფინალური მატჩები. „ტოტენჰემმა“ მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 3:1, ხოლო „ბერნლისა“ და „ფულჰემის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. გადათამაშება უნდა შედგეს 9 აპრილს.

მოასპარეზე

ვ. სიდამონიძე

□

ცნობილია, რომ მეფე ერეკლე ხშირად აწყობდა სხვადასხვა თამაშობებს: ყაბახს, ჩოგნით ბურთაობას, ისინდს, მიზანში სროლას, ფარიკაობას და სხვ. ამ თამაშობებში არა მარტო სხვებს წვრთნიდა, არამედ თვითონაც იღებდა მონაწილეობას. ირკვევა, რომ ერეკლეს ყაბახისა და სხვა თამაშობათა მოსაწყობად ამორჩეული ჰქონდა ქართლში ტირიფონის ველი, ხოლო კახეთში — თელავის ქვევით არსებული მინდორი.

ერეკლეს შვილიშვილი, ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც კარგად იცნობდა თავის პაპის ცხოვრებას, მოგვითხრობს: „მეფე ირაკლის უცხო დარახტული და საუცხოო ცხენებით, რამდენიმე ასეული კაცი უკან გამოჰყვა... ამათ თვითეულად მარჯვენა ხელში თითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებული და ზოგი სხვა და სხვა ფერად დაჭრელებული. ეს ერთიანი რაზმი... ორ რაზმად გაიყო. ერთი ერთ მხარეს დადგა მეორე მეორე მხარეს. ერთი ცხენის გადასაჭენებელი მინდორი შუაში დააგდეს და თითო ბაირახი თავ-თავის რაზმის მიწაში დაურჭეს... ამასთან მეფე ირაკლიმ ოქროს ფერი მოვარაყებული ჩოგნით წითელი სამგვის ბურთი აიღო და პირველ რაზმს შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა... მეფე ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი ერთი-ერთმანეთზე გათამაშებით, უნდოდათ მეორე მხრის ბაირახთან გაეტანათ და ამით დარჩენოდათ სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგო პირველ რაზმს და დაერივნენ ერთმანეთს... იბრძოლეს და იბრძოლეს, მაგრამ არა ეშველათ და ვერა, ვერ გაიტანეს და მზეც დაეწვერა ჩასასვლელად. იტყოდნენო ამ დღეს ისე გაფრთხილებული იყვნენ მობურთალ მეჩოგნენი, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ისე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდეც ატრიალებდნენო. არც დასასვენებლად დამდგარან მზის ჩასვლამდე. ცხენების შეჯახება ხომ დიდი სირცხვილი იყო...“ (იხ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, თელავის აღწერა „ჩოგნობა, ანუ ბურთაობა“, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი ბ-1650).

1790 წელს მეფე ერეკლე ორი ათასი რჩეული ქართველი მხედრიონით და პირადი ამალით თბილისიდან ასულა გორის ახლო ტირიფონის ველზე ასპარეზობის მოსაწყობად. ამ ველზე ოდითვე ქართველები სამხედრო ასპარეზობას მართავდნენ ხოლმე. გადმოგვცემენ, რომ აქ მეფე ერეკლეს მიზანში სროლა და ყაბახი მოუწყვია. ამ თამაშობაში თვითონაც მიუღია მონაწილეობა. მიუხედავად ხანდაზმულობისა თვალის ჩინი კიდევ კარგი ჰქონია და ერთ პირველს გამარჯვებაც მოუპოვებია. იგივე ალ. ორბელიანი ამბობს: „ტირიფონის მინდორში რომ გავიდნენ... დასტას დადგომა უბრძანა და ყველანი წყობით დადგნენ. მოატანინა და ნიშანი დაასმევინა... თვითონ გვერდით მოუდგა და რჩეულ მხედართ უბრძანა: „აბა თოფი ესროლეთ და ტყვია მოახვედრეთ, მაგრამ თუ თქვენ დააცდენთ, მას უკან ჩემი რიგი იქნება და მე უეჭველად მოვახვედრებო...

რჩეულთ შორის ნიშანს რომ ვერავინ მოახვედრა, მეფემ დაიძახა ახლა ჩემი რიგი არისო და ამასთან ოქროთ დანახტული საუცხოო წითელი ცხენი მოჰგვარეს; მოხუცებულმა ტანით მომცრო კაცმა, ხელი სტაცა უნაგარის ტახტას და ფრინველივით მოაფრინდა. უზანგში ფეხი არ გაჰყო... აღნიშნულ ადგილას რომ მივიდა ასე სწრაფად მოიმარჯვა თოფი, რომ ყველანი გაოცდნენ. ამასთანავე გავარდა თოფი და ტყვიამ ნიშანი გახვრიტა. ყველამ შეწუხებით დაიძახა:

—ცოდო არ არის, რომ შენ საქართველოს მოუკვდეო,

მასუკან ცხენი მოაბრუნა და ყველას სიამოვნებით უთხრა: „მე მოხუცებულმა გაჯობეთ ყველასო“.

[illegible]...

რინგიდან ჟურნალის რედაქტორად

ქვემძიმე წონის სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე არჩი მური აცხადებს, რომ განზრახვა აქვს მიატოვოს რინგი. მსოფლიო ჩემპიონთაგან ყველაზე უხუცესი — ა. მური (კარგა ხანია 40 წელს გადასცილდა) მუსიკალური ჟურნალის რედაქტორობას აპირებს, რომელსაც „თანამედროვე ჯაზი“ ერქმევა.

„ჟურნალი კომენტარს გაუკეთებს თანამედროვე მუსიკის ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენებს, — განაცხადა არჩი მურმა, — ვ ცი, რომ ეს წამოწყება საკმაოდ სარისკოა, მაგრამ როგორც რინგზე, საქმეს აქაც არ შევუშინდები“.

ტრადიცია
აღდგენილი

თბილისის სახელმწიფო უნივე
სიტეტისა და საქართველოს პოლ
ტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრ
კეთა შორის სამამულო ომამდ
არსებობდა ამხანაგური გუნდუ
შეხვედრების კარგი ტრადიცია. მ
გრამ შემდეგ იგი მივიწყებას მ
ცა. „ბურევესტნიკის“ რესპუბლ
კური საბჭოს საჭადრაკო სექც
(თავმჯდომარე საბჭოთა კავშირ
დამსახურებული მწვრთნელი ვ.
რსელაძე) აღადგინა იგი.

ამას წინათ ცენტრალურ საჭა
რაკო კლუბში მოეწყო პირველი
ტჩი 50 დაფაზე. ვაჟების ნაკრებ
40 მოჭადრაკე იყო, ქალების შე
დგენლობაში — 10. უნივერსიტ
ტის ვაჟთა გუნდში „ვეტერანებ
ო. ჯინორიას, ო. ყანჩელის, ი.
შაპიძის გვერდით კოლექტივის
რსებას იცავდნენ ოსტატობის კ
დიდატები თ. კიკიანი, მ. თხელი
გ. გამრეკელი, ჰ. არნშტეინი
სხვები, ხოლო მომავალი ინჟინრებ
სპორტულ ინტერესებს—ოსტატ
ბის კანდიდატები რ. ჯინჯიხაშვილ
გ. კალატოზიშვილი, ა. გერსამია,
წერეთელი და სხვები.

ქალთა შორის შეხვედრა მოიგ
უნივერსიტეტელებმა — 5,5:4
პირველ დაფაზე ბუცხრიკიძემ (პ
ლიტექნიკური ინსტიტუტი) დაა
რცხა ჯანგველაძე. ვაჟთა დაფებ
უპირატესობა აგრეთვე (21,5:18
უნივერსიტეტის მხარეს იყო. ამრ
გად, ამხანაგური შეხვედრა საერთ
ანგარიშით (27:23) მოიგო უნივე
სიტეტის გუნდმა.

რედაქტორი ი. უგულავა

10 აპრილი

ევროპის ჩემპიონთა
თასი
კალათბურთში
„დინამო“ (თბილისი) —
„დარუშაფაკი“ (სტამბოლ
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

დღეს თბილისში

ფეხბურთი. სკა-ს სტადიონ
(შაუმიანის ქ. № 73). კალენდარუ
ლი შეხვედრები საქართველოს პ
რველობაზე პირველი ჯგუფ
გუნდებს შორის. **სასოფლო-სამე
ურნეო ინსტიტუტი** (თბილისი
„**ნადიკვარი**“ (თელავი). დასაწყის
15 ს. სკა (თბილისი)-„კახეთი“ (გუ
რჯაანი). დასაწყისი 17 ს.

საგზატკეცილო ველორბოლ
შეჯიბრების მესამე დღე. თბილ
სი-გორი-თბილისი. სტარტი
ფინიში შედგება 11 საათზე თბილ
სიდან მე-5 კილომეტრზე საქართ
ველოს სამხედრო გზატკეცილზე.

მძლეოსნობა. „ბურევესტნიკის
სტადიონი. სამატჩო შეხვედრე
სპორტსაზოგადოებათა და უწყებ
თა ნაკრებ გუნდებს შორის. დას
წყისი 11 ს.

სასტენდო სროლა. „მონკავშ
რის“ სტენდი. თბილისის პირად
პირველობა. დასაწყისი 9 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00970